

უფლების შინაარსი სამოქალაქო სამართალში

სამოქალაქო უფლების შინაარსისა და ძირითადი თავისებურებების დადგენა არის სამოქალაქო სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. კვლევის მიზანია თავდაპირველად უფლების შესახებ თეორიების კრიტიკული ანალიზი, შემდგომ კი სამოქალაქო უფლების შინაარსისა და თავისებურებების განსაზღვრა. ეს გამოკვეთს, როგორია სამოქალაქო უფლების მეთოდოლოგიური საფუძვლები, რა მიმართებაა მის სამართლებრივ და ფაქტობრივ საწყისებს შორის.

საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია სამოქალაქო უფლების იურიდიული ბუნების დასადგენად, რათა განისაზღვროს, რისი დაცვა შეუძლია სუბიექტს და რისი – არა, სად მთავრდება პირის ფაქტობრივი შესაძლებლობა და რა მომენტიდან იძენს ის იურიდიულ ფორმას. შესაბამისად, თემა საინტერესოა სუბიექტთა ინტერესების იურიდიული დაცვის თვალსაზრისითაც, რაც მას პრაქტიკულ მნიშვნელობასაც მატებს.

კვლევამ ცხადყო, რომ უფლების შესახებ თეორიები შეიცავს ხარვეზებს და ცალ-ცალკე ვერ ხსნის უფლების იურიდიულ ხასიათს. შესაბამისად, უფლება არ უნდა იყოს დაყვანილი მხოლოდ ერთ კომპონენტზე, რომელსაც აღიარებს ესა თუ ის თეორია. მიზანშეწონილია, უფლება განიხილებოდეს მოვალეობასთან მჭიდრო კავშირში და გაიმიჯნოს ის ფაქტობრივი შესაძლებლობისგან. სამოქალაქო უფლება განიხილება სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებულ შესაძლებლობად ქმედების შესრულების შესახებ, რაც შეიძლება დაეფუძნოს როგორც კანონს, ისე ხელშეკრულებას. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა „ნებადართულია, რაც აკრძალული არაა“-ს პრინციპის ფარგლებში. შესაბამისად, სამოქალაქო უფლების ცნების მოცულობა უნდა იყოს გაცილებით ფართო, ვიდრე საჯარო უფლების შინაარსი.

საკვანძო სიტყვები: უფლება, უფლების ნიშნები, სამოქალაქო უფლება, თეორიები, კრიტიკა

1. შესავალი

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამოქალაქო უფლების შინაარსის გარკვევა. ის არის სამოქალაქო უფლების ცნების მოცულობისა და მისი დაცვის ფარგლების განსაზღვრის წინაპირობაც. თუმცა ვიდრე სამოქალაქო უფლების არსი დადგინდება, მიზანშეწონილია უფლების შესახებ თეორიების ანალიზი, რათა განისაზღვროს უფლების ცნება და ნიშნები. ფაქტობრივად მასზე დაყრდნობით ლოგიკურად გამარტივდება სამოქალაქო უფლების შინაარსის დადგენა. ამდენად, დიდია კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის მიზანია, დადგინდეს უფლების შესახებ თეორიების ძირითადი თავისებურებები და მათი კრიტიკული ანალიზის გზით გამოიყოს ამ კონცეფციების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ამასთან, შესასწავლია, რა უდევს საფუძვლად უფლებას, როგორია მისი იურიდიული ხასიათი, რითი განსხვავდება ის ფაქტობრივი შესაძლებლობისგან.

* სამართლის დოქტორი, თსუ-ის მონვეული ლექტორი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი. <https://orcid.org/0000-0003-2297-0326>.

ამავე დროს, კვლევის მიზანია, უფლების თეორიული ანალიზის დახმარებით განისაზღვროს სამოქალაქო უფლების შინაარსი და მისი ცნების მოცულობა. ამ კონტექსტში უნდა გაირკვეს, რა როლს თამაშობს კერძო ავტონომიის პრინციპი სამოქალაქო უფლების შინაარსის დადგენაში. ფაქტობრივად ეს უშუალოდ სამოქალაქო უფლების ცნების მოცულობის გარკვევის საფუძველიცაა. შესაბამისად, კვლევა გულისხმობს არა მხოლოდ სამოქალაქო უფლების შინაარსის, არამედ მისი ძირითადი ნიშნების შესწავლასაც, რათა სამოქალაქო უფლების ცნების მოცულობა დადგინდეს.

საკითხი აგებულია, ძირითადად, ნორმატიულ-დოგმატურ მეთოდზე, რათა თეორიების არსი იყოს საფუძვლიანად შესწავლილი. თუმცა, ამავე დროს, კვლევაში გამოყენებულია სინთეზისა და ანალიზის მეთოდი, ვინაიდან სწორედ თეორიების კრიტიკულმა გააზრებამ შეიძლება განაპირობოს უფლების იურიდიული შინაარსის გარკვევა, ხოლო საერთო ნიშნების შეჯერებით გამოიკვეთოს კვლევის შედეგები.

2. უფლების შესახებ თეორიების კრიტიკული ანალიზი და უფლების ძირითადი ნიშნები

2.1. თეორიების კრიტიკული ანალიზი

2.1.1. ნების თეორია

ნების თეორია მოქმედებდა მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე და **უფლებას განიხილავდა ნების დახმარებით**. შესაბამისად, უფლების მთავარ კომპონენტად მოიაზრებოდა ადამიანის ნება, იმოქმედოს და მოითხოვოს სხვებისგან გარკვეული ქმედების შესრულება.¹ ფაქტობრივად ვინდშიაიდი უფლებად მიიჩნეოდა სამართლის მიერ მინიჭებული ნების ძალას.² ამ გაგებით, ინდივიდის თავისუფლება განიხილებოდა ისეთ სივრცედ, სადაც დომინირებს პირის ნება, ანუ უფლება.³

ნების თეორიის მიხედვით, სამართალი ადგენს წესებს, რომლის ფარგლებშიც ანიჭებს პირს მოქმედების შესაძლებლობას, სუბიექტს კი შეუძლია გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს საშუალება. შესაბამისად, სამართლით დაშვებული ბრძანების (**Befehl**) შესასრულებლად გადაწყვეტია პირის ნების არსებობა. ამიტომ უფლება სუბიექტისთვის სამართლით გადაცემული ნების ძალაუფლებაა.⁴ მაშასადამე, სამართალი ანიჭებს ნების ძალას სუბიექტს, რომელიც იყენებს სამართლით დადგენილ ბრძანებას. ამ გზით **სამართლით დადგენილი ბრძანება გადაიქცევა სამართლის სუბიექტის ბრძანებად, რომელშიც არსებითია პირის ნება**. ამიტომ, ვინდშიაიდის აზრით, უფლების უმთავრესი კომპონენტია თავისუფალი ინდივიდის ნების ძალა ან ნება.⁵

¹ *Магазинер Я. М.*, Избранные труды по общей теории права, СПб., 2006, 153.

² *ვაჩეიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, 181; *Windscheid B.*, Pandektenrecht, 3 Aufl., 1873, § 37.

³ *Savigny F. C. von*, System des heutigen römischen Rechts, Bn. 1, 1840, § 4, 7.

⁴ *Windscheid B.*, Lehrbuch des pandektenrechts, 7 Aufl., I Band Frankfurt a.M., 1891, § 37, S. 87 f; *Schorder R.*, (unter Mitarbeit von *Bar fred G. ansperer Hafermark, Dostal C., Bedau M., Moller Ulr., Revermann M.*), Einführung in die Rechtsgeschichte, Quellensammlung zur vorlesung mit erlauerungen, 14. Aufl., 2005, 146.

⁵ *Windscheid-Kipp B.*, Pandektenrecht, 9. Aufl., 1906, § 37; *Reiser L.*, Der Stand der Lehre vom subjektiven Recht in Deutschen Zivilrecht, Juristen Zeitung, 16. Jahrg. Nr. 15/16, 1961, 465.

ამასთან, ნების თეორიის განშტოება ბირლინგის „ძალაუფლების თეორია“ (*Machttheorie*), რომელიც უფლებასა და ხელისუფლებას არ განასხვავებს ერთმანეთისგან. ბირლინგის თქმით, ხელისუფლება არის სამართალი; ზოგადად ხელისუფლება ასოცირდება შესაძლებლობასთან, ადამიანმა საქმე ისე მოაგვაროს, როგორც სურს.⁶ ამ შემთხვევაში უფლების არსებობისთვის აუცილებელია ნება. თუმცა ეს ჰიპოთეზა საფუძველშივე ეწინააღმდეგება პოზიტიური კანონმდებლობის დეფინიციათა მთელ წყებას იმაზე, რომ უფლება ხშირად მიეწერება იმ სუბიექტებსაც, რომლებთანაც ძნელია, ვინმემ ნების არსებობა ივარაუდოს. მაგალითად, ასეთია ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი.⁷

ნების თეორია შეიცავს რამდენიმე ხარვეზს:

ა. ის უგულებელყოფდა იმას, რომ **უფლების სავალდებულო ელემენტი არ უნდა იყოს ნება**, რადგან ზოგჯერ შეიძლება სამართლებრივად ვარგისი ნება არც არსებობდეს. მაგალითად, მცირეწლოვანს აქვს მემკვიდრეობის უფლება, თუმცა მის მიერ გამოხატული ნება სამართლებრივად არაა საკმარისი იურიდიული შედეგის დასადგომად. ამიტომ მცირეწლოვანს შეიძლება დაენიშნოს მეურვე კანონისმიერ წარმომადგენლად. შესაბამისად, **ნება აუცილებელია არა უფლების არსებობისთვის, არამედ უფლების რეალიზაციისთვის;**⁸

ბ. ნების თეორიით ვერ აიხსნება უფლების არსი, რადგან თუ **ნება ინდივიდუალურ-ფსიქიკურ აქტს წარმოადგენს**, გაუგებარია, როგორ შეიძლება ჰქონდეს უფლება ისეთ სუბიექტს, რომელიც ფიზიკური პირი არაა;⁹

გ. **უფლების არსი უნდა განიხილებოდეს მოვალეობასთან ერთად.** უფლება, რომლის საპირისპიროდ მოვალეობა არ არსებობს, არ შეიძლება უფლებად ჩაითვალოს. უფლება რომ მოვალეობის გარეშე არსებობდეს, ასეთ შემთხვევაში იგი იქცევა შიშველ ძალად, წმინდა სოციალურ და არა იურიდიულ მოვლენად. არადა სწორედ მოვალეობის დახმარებით შეიძლება გაიმიჯნოს უფლების ცნება ძალის ცნებისაგან, რადგან მოვალეობა აუცილებელია უფლების არსის განსაზღვრისას. **მოვალეობაც მხოლოდ მაშინ იქნეს იურიდიულ ხასიათს, როცა შესაბამისი უფლება არსებობს;** წინააღმდეგ შემთხვევაში ის სამართლებრივი კი არა, არამედ მორალური მოვალეობა იქნება.¹⁰

ამდენად, ნების თეორია სრულად ვერ ხსნის უფლებას. უფლება შეიძლება მოიცავდეს სამართლებრივ ძალაუფლებასა თუ შესაძლებლობას, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

2.1.2. ინტერესთა თეორია

ნების თეორიას დაუპირისპირდა **ინტერესთა თეორია, რომლის თანახმადაც, ნებას აუცილებლად სჭირდება გარკვეული მიზანი**, რადგან მის გარეშეც უბრალოდ ნება შინაარსისგან დაცლილი რჩება.¹¹ შესაბამისად, ინტერესთა თეორია უფლების არსს ხსნის **ინტერეს-**

⁶ სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, მთარგმნელი: გამყრელიძე ო., თბ., 2002, 94.

⁷ იქვე, 96.

⁸ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია: ძალიან მოკლე შესავალი, თბ., 2012, 153-154.

⁹ გოკიელი ფ., უფლება, ჟურნალი „სამართალი“, №8-9, 1992, 65; ნების კრიტიკის შესახებ იხ. ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2015, 140.

¹⁰ სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, მთარგმნელი: გამყრელიძე ო., თბ., 2002, 113.

¹¹ Jhering R. von, Geist deutschen romischen Rechts, III 1, 1. Aufl., 1865, §§ 60, 61; Reiser L., Der Stand der Lehre vom subjektiven Recht in Deutschen Zivilrecht, Juristen Zeitung, 16. Jahrg. Nr. 15/16, 1961, 465.

ზე დაყრდნობით. ამ გაგებით, უფლება იურიდიულად დაცული ინტერესია. ნების თეორიისგან განსხვავებით, ეს უკვე არ ენიშნავს ენააღმდეგება თეზას, რომ ბავშვებს არ აქვთ გაცნობიერებული ნება, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ აქვთ უფლება.¹²

ინტერესთა თეორიის (წარმომადგენელი იერინგი)¹³ მიხედვით, უფლების ცნებაში გაერთიანდა მატერიალური და ფორმალური ელემენტები. **სუბსტანციური (მატერიალური) ელემენტი უფლების პრაქტიკულ მიზანს ეხება,** კერძოდ, სარგებლის მიღებას, მოგებას, რომელიც სამართლით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. რაც შეეხება **ფორმალურ კომპონენტს, ის ამ მიზანს განიხილავს საშუალებად, სახელდობრ,** სამართლებრივი დაცვა, სარჩელი თუ უფლების გაგება ემსახურება ინტერესის დაკმაყოფილების უზრუნველყოფას, ამიტომ უფლებები სამართლებრივად დაცული ინტერესებია.¹⁴ ამდენად, პირველი მიიჩნევა უფლების საფუძვლად, მეორე – მისი დაცვის საშუალებად.¹⁵

მაშასადამე, უფლება მოიაზრებს უფლებამოსილი პირის მიერ ნებადართული მოქმედებით საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რომელიც უზრუნველყოფილია სხვ(ებ)ის მოვალეობით. უფლების შესრულებით მიიღწევა უფლებამოსილი პირის მიზნები. თუმცა პირისთვის მინიჭებული იურიდიული შესაძლებლობები არაა უსაზღვრო. მათი შინაარსი ზუსტად არის განსაზღვრული და პირს მხოლოდ ამ ფარგლებში შეუძლია მოქმედება.¹⁶ იგულისხმება კანონით დაცული ინტერესი. ესაა **კანონიერი ინტერესი, ანუ კანონით აღიარებული სოციალური ინტერესი.** თუმცა ყველა კანონიერ ინტერესს არ აქვს კანონით დაცული ინტერესის სტატუსი; კანონით დაცულია ინტერესი, რომელსაც აღიარებს კანონმდებელი მისი მატარებლისთვის უფლების, როგორც ინტერესის დაკმაყოფილების საშუალების, მინიჭების გზით.¹⁷

პირის უფლების მიზანია მისი ნამდვილი და ობიექტური ინტერესის დაკმაყოფილება. ინტერესს თავისი სუბიექტურ-ინდივიდუალური თვალსაზრისით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უფლების შექმნა, თუ ის (ინტერესი) სასურველია და სასარგებლოა მხოლოდ იმისთვის, ვისაც მისი შესრულება უნდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ძალიან ახლოსაა ნება და ინტერესი. აქედან დიუგი სწორად ასკვნის, რომ **თუ უფლება იურიდიულად დაცული ინტერესია, ის ნების ცნებასაც უნდა მოიცავდეს.** ამ შემთხვევაში გადაჭარბებულია ნებისა და ინტერესის თეორიების მკვეთრად დაპირისპირება.¹⁸

უფლება უბრალოდ ინტერესი არაა, ის **იურიდიულად დაცული ინტერესია;** იურიდიული დაცვის ცნება განსაზღვრავს არა მხოლოდ უფლებას, არამედ პირდაპირ თუ არა, არაპირდაპირ მაინც ვალდებული პირის მდგომარეობასაც. ამიტომ უნდა გაიმიჯნოს უბრალოდ ინტერესი და მისი იურიდიული დაცვა. მხოლოდ ინტერესი გამოუსადეგარია უფლების სამარ-

¹² იხ. *Магазинер Я. М.*, Избранные Труды по Общей Теории Права, СПб., 2006, 155.

¹³ *Рождественский А.*, Основы Общей Теории Права: Курс Лекций, 1912, 121.

¹⁴ *Jhering R. von.*, Geist des römischen Rechts auf den verschiedenen Stufen seiner Entwicklung, 3. Auflage, Leipzig, 3, Teil, 1, Abt., 1877, § 60, 327; *Schröder R.* (unter Mitarbeit von *Haferkamp Fred G. Bär Hans peter, Dostal C., Bedau M., Möller, Ulr., Revermann, M.*, Einführung in die Rechtsgeschichte, Quellensammlung zur Vorlesung mit Erläuterungen, 14. Auflage, 2005, 147.

¹⁵ *Рождественский А.*, Основы Общей Теории Права: Курс Лекций, М., 1912, 121.

¹⁶ *Алексеев С. С.*, Общая Теория Права, В. 2 т., Москва, 1982, 114-116.

¹⁷ *Крашенинников Е.*, Охраняемый Законом Интерес и Средства его Защиты в Материалы Научной Конференции – Вопросы Теории Охранительных Правоотношении, Ярославль, 1991, 12.

¹⁸ იხ. *სურგულაძე ი.*, ხელისუფლება და სამართალი, მთარგმნელი: *გამყრელიძე ო.*, თბ., 2002, 100-102.

თლებრივი არსის გადმოსაცემად. იურიდიული დაცვის ცნების გამოყენებით შეიძლება აიხსნას უფლება და მოვალეობაც, თუმცა არასაკმარისია უფლების ასახსნელად.¹⁹

ამდენად, ინტერესთა თეორიაც არაა უნაკლო: უპირველეს ყოვლისა, **არსებობს იურიდიულად დაცული ისეთი ინტერესიც, რომელიც არაა უფლება და პირიქით**, არსებობს უფლება, რომელსაც მისი განხორციელების ინტერესი არ აქვს. მაგალითად, ასეთია საკუთრების უფლება ნივთზე, რომელსაც არ აქვს რაიმე ღირებულება, ან მეურვის უფლება, რომელსაც იდეაში არ უნდა ჰქონდეს რაიმე ინტერესი სამეურვეო პირის ქონების გასხვისებისადმი.²⁰ ამას ინტერესთა თეორია ვერ ხსნის; ამასთან, **უფლება და მისი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური განცდა მეთოდოლოგიურად სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება**. კერძოდ, უფლება ჯერარსული მოვლენაა, ხოლო ინდივიდის მიერ მისი განცდა – რეალური ცხოვრების მოვლენა. ე.ი. ისინი სრულიად სხვადასხვა სიბრტყეზე არსებული მოვლენებია. უფლება მაინც არსებობს, მიუხედავად იმისა, განიცდის თუ არა მას სუბიექტი და ცდილობს თუ არა მის შესრულებას. მაგალითად, ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს არ აქვს უფლების განცდის შესაძლებლობა, მაგრამ მას მაინც შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრული უფლება.²¹ ასეთ უფლებას სსკ-ში წარმოადგენს მემკვიდრედ ყოფნის უფლება (სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწ.). შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ინტერესთა თეორია ვერ მიჯნავს არსისა და ჯერარსის მოვლენებს ერთმანეთისგან.

2.1.3. შერეული თეორია

ცალკე შეიძლება **ინტერესთა და ნების თეორიათა შეჯერებით ე.წ. „შერეული თეორიის“ განხილვა**.²² 1890 წელს ბერნაციკმა წამოაყენა თეორია იმის შესახებ, რომ უფლება უნდა მოიცავდეს როგორც ნებას, ისე მიზანს. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ; თუ ნება არ არსებობს, ვერც მიზანი იარსებებს და ამ მიზნის გარეშე ნებაც ვერ დადგინდება. მოგვიანებით (1892 წელს) ელინეკმა ფაქტობრივად გაიზიარა ეს შეხედულება იმ დაზუსტებით, რომ უფლების აუცილებელ ელემენტებად დაასახელა ნება და ინტერესი. ელინეკის აზრით, **უფლება არის სამართლით აღიარებული და დაცული ადამიანის ნების ბატონობა**, რომელიც მიმართულია სიკეთისკენ ან ინტერესის დაკმაყოფილებისკენ.²³

ელინეკი აღნიშნავდა, რომ ადამიანის ნებისმიერ ნებელობით აქტს უნდა ჰქონდეს შინაარსი. სამართალი უბრალო ნებას არ აღიარებს. **სამართალი აძლევს ადამიანის ნებას შინაარსს, იცავს მას და უქმნის სათანადო პირობებს**, რათა პირმა მარტივად გამოიყენოს ეს შინაარსი. რაც შეეხება ნების შინაარსს, ესაა ის, რაც ეხმარება ინდივიდს მიზნების განხორციელებაში. ის, რაც ობიექტური თვალსაზრისით სიკეთეა, სუბიექტური გადმოსახედიდან ინტერესს გამოხატავს. თუმცა **უფლებაში უნდა იყოს მეორე ელემენტიც – ნებაც**. ეს იმითაა განპირობებული, რომ **ნება არის საშუალება, რომლის დახმარებითაც ინდივიდი და სამართალი ახორციელებს თავის მიზნებს**. ელინეკი უფლების მატერიალურ კომპონენტად ასახელებს ნებას, ხოლო ფორმალურ ელემენტად – სიკეთეს (ინტერესს).²⁴ ამ გაგებით, ნება უნდა

¹⁹ იქვე, 102-103.

²⁰ *Магазинер Я. М.*, Избранные Труды по Общей Теории Права, СПб., 2006, 155.

²¹ იხ. *გამყრელიძე ო.*, იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, თბ., 2002, 21.

²² იხ. *სურგულაძე ო.*, ხელისუფლება და სამართალი, მთარგმნელი: *გამყრელიძე ო.*, თბ., 2002, 107.

²³ *Магазинер Я. М.*, Избранные Труды по Общей Теории Права, СПб, 2006, 155-156.

²⁴ *ვაჩიშვილი ალ.*, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, 183.

იყოს კონკრეტული ინტერესისკენ მიმართული, სხვა შემთხვევაში ნება შინაარსისგან დაცლილი დარჩება. უფლება არ შეიძლება მხოლოდ იურიდიულად დაცულ ინტერესად გაიგებოდეს. ნება მიმართულებას მისცემს ინტერესს და გახდება მისი რეალიზების ფორმა. შესაბამისად, უფლება უნდა მოიაზრებდეს ადამიანის ნების აღიარებით დაცულ ინტერესს (სიკეთეს). ამიტომ **ნების აღიარება გაიგება უფლების ფორმალურ მომენტად, ხოლო ინტერესი – მატერიალურ ნიშნად, მათი ერთიანობა კი ქმნის სინთეზურ მთლიანობას.**²⁵

ამასთან, ნებისა და ინტერესთა თეორიები უფლებას ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ ქრილში განიხილავდა, რაც რეალურ სფეროს განეკუთვნება. შესაბამისად, **აქ უფლება სამართლებრივი სფეროს მიღმა არსებულ მოვლენად გაიგება.** ამდენად, ეს თეორია პრობლემის უფრო სრულყოფილად ახსნის მხოლოდ მცდელობაა. უფლების სხვადასხვა სამართლებრივი სფერო განისაზღვრება ადამიანთა არა ანატომიური, ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური თავისებურებების დახმარებით, არამედ მოქმედი სამართლებრივი მონესრიგების სისტემის ინდივიდუალური სტრუქტურის საშუალებით. ეს იმიტომ ხდება, რომ **უფლება და მართლწესრიგი სამართლებრივი კატეგორიებია.**²⁶

მართებულად აღინიშნა, რომ თუ სამართალი საზოგადოებაში წარმოიშობა, უფლების ცნებაში აუცილებლად შევა სოციალური მომენტი, უფლების მატარებელი კი გახდება ადამიანი არა როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არამედ როგორც საზოგადოების წევრი. ამ გაგებით, უფლების მატერიალური ნიშანია საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები, ხოლო უფლების წმინდა ფორმალური ნიშანი გამოიხატება ინტერესის დაცვაში.²⁷ ვინაიდან **სამართლის მიზანია, სოციალურ ინტერესს შეუსაბამოს იურიდიული ინტერესი და გზა გაუხსნას პოზიტიურ მოქმედებებს, ეს იქნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი მონესრიგება.** მაშასადამე, იურიდიული ინტერესებიც სოციალურია, მაგრამ ისინი დამხმარე, „ინსტრუმენტალური“ ხასიათისაა და წარმოადგენს მხოლოდ საშუალებებს სოციალური მიზნის მისაღწევად.²⁸ ამდენად, უფლება არაა განყენებული სოციალური რეალობისგან; აქ ხაზგასმულია უფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტი – ის მოიცავს იურიდიულ და სოციალურ საფუძვლებს.

ამავე დროს, უფლებას ახასიათებს ერთი თავისებურება – პირმა იგი შეიძლება ან გამოიყენოს ან არა, მაგრამ ამით უფლება არ ისპობა და არც მისი მოცულობა იცვლება. უფლების არსებობა-არარსებობა არაა სამართლის სუბიექტის მიერ თავისი ნების გამომჟღავნებაზე დამოკიდებული.²⁹

როგორც ითქვა, **უფლება-მოვალეობის ობიექტურობა გამოიხატება იმაში, რომ ისინი არ ემორჩილება რეალური ცხოვრების კანონზომიერებას.** ამასთან, **სამართალსა და სოციოლოგიას საკუთარი კანონზომიერება აქვს.** თუ სამართალი სოციოლოგიური კანონზომიერებით აიხსნება, მაშინ ის სოციოლოგია იქნება და არა სამართალი. რაც შეეხება ფაქტსა და სამართალს, მათში არაა იდენტური შინაარსი ჩადებული; ისინი ერთი და იგივე სინამდვილის ორი განსხვავებული სფეროა.³⁰

²⁵ გოკიელი ფ., უფლება, ჟურნალი „სამართალი“, №8-9, 1992, 69.

²⁶ იხ. გამყრელიძე ო., იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, თბ., 2002, 25-26.

²⁷ იხ. ნინიძე თ., ცოცხალი ხატი ღირსებისა, ჟურნ. „საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №3, 1987, 64.

²⁸ იქვე, 69.

²⁹ იხ. გამყრელიძე ო., შესავალი ი. სურგულაძის ნაშრომზე „ხელისუფლება და სამართალი“, თბ., 2002, 20.

³⁰ იქვე, 23.

შერეულ თეორიასაც აქვს რამდენიმე ხარვეზი: ა. **შერეულ თეორიაში ნებისა და ინტერესის გამიჯვნა რთულდება.** არადა ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან; ბ. შერეული თეორიის მიხედვით, **უფლება განიხილება სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ და, შესაბამისად, რეალურ მოვლენად.** ეს გამორიცხავს უფლების იურიდიული შინაარსის დადგენას, რადგან ამ გზით მსჯელობა სცდება იურიდიული კვლევის სფეროს, თუმცა სამართალში უფრო მეტად მნიშვნელოვანია უფლების იურიდიული ხასიათი, ვიდრე მისი რეალური საწყისი. ამდენად, უფლების სამართლებრივი ბუნება არაა ახსნილი ამ თეორიაში; გ. ვინაიდან შერეული თეორია მოიცავს ნებისა და ინტერესთა თეორიებს, ლოგიკურად ამ კონცეფციების ნაკლოვან მხარეებსაც იმეორებს.

2.1.4. უარყოფელი თეორიები

უარყოფელი თეორიების მიხედვით, **უფლების არსებობა საერთოდ უარყოფილია.** მოცემული თვალსაზრისით, უფლება განიხილება არა დამოუკიდებელ კატეგორიად, არამედ მხოლოდ კერძო სამართლის ერთ-ერთ მოდიფიკაციად.³¹ ამ კონცეფციის წარმომადგენელი იყო დიუგი, რომელიც მიიჩნევდა, რომ უფლება მოიაზრებდა ორ სუბიექტს შორის ურთიერთკავშირს. ამიტომ **იზოლირებულ ადამიანს, რომელსაც არ აქვს ურთიერთობა სხვასთან, არც ექნება უფლებები.** მაშასადამე, ინდივიდს შეიძლება უფლებები ჰქონდეს მხოლოდ საზოგადოებაში. ადამიანიც განიხილება საზოგადოებრივ არსებად; მას არ შეუძლია საზოგადოების გარეშე არსებობა, ის ყოველთვის საზოგადოებაში ცხოვრობდა. ამდენად, თუ ადამიანს საზოგადოებაში შეიძლება ჰქონდეს უფლებები, წინააღმდეგობრივია საზოგადოებისგან იზოლირებული ადამიანების უფლებებზე საუბარი.³²

ფრანგი მეცნიერი დიუგი აღნიშნავდა, რომ „იურიდიული მეცნიერებიდან უნდა განდევნილიყო უფლების მოძველებული ცნება.“³³ მისი აზრით, სამართლის ნორმა არ წარმოშობს ადამიანებს შორის ურთიერთობას, რაიმე უფლებას, ან მოვალეობას, არამედ მხოლოდ გარკვეული ნივთების ფლობის სურვილის ძალაუფლება კონკრეტული შედეგებით. ამ ნორმის ძალით, ადამიანი იძენს ძალაუფლებას, სურდეს და არა ფლობდეს. ნების ძალაუფლება არაა უფლება, ის ობიექტური ძალაუფლებაა – იურიდიული შედეგის გამომწვევი ნების ძალაუფლება. **მოქმედების ობიექტური ნორმა განიხილება ობიექტურ ძალაუფლებად, რომელიც ინდივიდს ეკუთვნის.** ამასთან, ინდივიდს ეკისრება ობიექტური მოვალეობის შესრულება, რაც უკვე საინტერესოა სამართლისთვის. მართალია, სამართლის ნორმა ვერ ქმნის უფლებას, თუმცა მას შეუძლია იურიდიული აქტის შედეგად შექმნას სუბიექტური იურიდიული მდგომარეობა. **იურიდიული აქტი არის ფორმა, რომელშიც სამართლის ნორმების ძალით გამოიხატება სუბიექტის ნება,** წარმოშვას უფლება. შესაბამისად, იურიდიული აქტი წარმოშობს იურიდიულ ეფექტს. სწორედ ამ იურიდიულ შედეგს ეძახიან „სუბიექტურ იურიდიულ მდგომარეობას“, ვინაიდან ის წარმოიშობა სუბიექტის ნების საფუძველზე. ასეთია მაგალითად, სა-

³¹ იხ. გოკიელი ფ., უფლება, ჟურნალი „სამართალი“, №8-9, 1992, 71.

³² Дюги Л., Общие Преобразования Гражданского Права со Времени Кодекса Наполеона, Перевод Сиверс М. М., М., 1919, 16-17.

³³ Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 147, ციტირებულია ნაშრომიდან: Рождественский А., Теория Субъективных Публичных Прав: Критико-систематическое Исследование, Часть I. Основные Вопросы Теории Субъективных Публичных Прав, М., 1913, 16.

კუთრების იურიდიული მდგომარეობა. ამიტომ, დიუგის აზრით, უფლების ცნება უნდა შეიცვალოს სუბიექტური იურიდიული მდგომარეობის ცნებით, რადგან ის უფრო ზუსტია.³⁴

კონტიც უარს ამბობს სამოქალაქო უფლების ცნებაზე. მისი აზრით, ნებისმიერ პირს აქვს ყველას მიმართ მოვალეობა, მაგრამ არავის აქვს უფლება, როგორც ასეთი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არავის აქვს სხვა უფლება, გარდა უფლებისა, ყოველთვის შეასრულოს თავისი მოვალეობა.³⁵

როჟდესტვენსკი არ იზიარებდა დიუგის მოსაზრებას და აღნიშნავდა, რომ **უფლების არსებობას უნდა განსაზღვრავდეს სამართლის ნორმა. სამართლის ნორმა** არ ქმნის უფლებას, თუმცა იგი ასაბუთებს მის არსებობას ისე, რომ სამართლებრივი ურთიერთობის თითოეულ მონაწილეს ანიჭებს უფლების შექმნის, ფლობისა და განკარგვის უფლებამოსილებებს. შესაბამისად, თუ გამოირიცხება უფლების არსებობა, ლოგიკურად სამართლის ნორმების არსებობას აზრი დაეკარგება. ამიტომ მნიშვნელოვანია არა უფლების არსებობის უარყოფა, არამედ მცდელობა, სათანადოდ ჩამოყალიბდეს მისი სამართლებრივი ცნება.³⁶

ამასთან, **უფლება არც იურიდიულად დაცული ინტერესია და არც სუბიექტის იურიდიული თავისუფლება**. მასში ყოველთვის ასახულია უფლებამოსილება, რომელიც სუბიექტს ენიჭება. ესაა მისი იურიდიული საწყისი. ამ გაგებით, **უფლება არის სუბიექტის იურიდიული ძალის მოქმედება ან იურიდიული ძალაუფლება ობიექტზე**. ამდენად, იურისტი უფლებაში უნდა მოიაზრებდეს იურიდიულ ძალას ან ძალაუფლებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფაქტობრივ ძალაუფლებასთან. უშუალოდ იურიდიულ და სხვა სახის ძალაუფლებას შორის არ არსებობს აუცილებელი კავშირი. ამიტომ **თუ პირს აქვს იურიდიული ძალაუფლება საკუთარი უფლებამოსილების რეალიზაციისთვის, ეს არ ნიშნავს იმავდროულად ფაქტობრივი ძალაუფლების არსებობასაც**. მაგალითად, თუ ბავშვი მამისგან მემკვიდრეობით მიიღებს მილიარდებს, მას უჩნდება დიდი იურიდიული ძალაუფლება, თუმცა მასზე შეიძლება ფაქტობრივ ძალაუფლებას ვერ ავრცელებდეს. ამის საპირიპიროდ შეიძლება მონას ჰქონდეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ძალაუფლება, თუმცა მისი იურიდიული ძალაუფლება ნულს უთანაბრდებოდეს.³⁷

კლასიკური დოქტრინის მიხედვით, უფლება მოიცავს მხოლოდ პრეროგატივას, ინდივიდის ძალაუფლებას ნივთზე ან სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. სოციალური დოქტრინის წარმომადგენელთა აზრით, სამართალი არ აღიარებს და არც არეგულირებს რაიმეს, გარდა ინდივიდებს შორის სხვადასხვაგვარი იურიდიული მდგომარეობისა, რაც განისაზღვრება შეზღუდვებით, პირობებით, მოვალეობებით ისევე, როგორც თავისუფლებით, ძალაუფლებით ან უფლებებით.³⁸

საბოლოო ჯამში, უარმყოფელი თეორიებიც არაა უნაკლო: ჯერ ერთი, აქ **გამოიკვეთა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობის შექმნა** და, ნაცვლად უფლების არსის ახ-

³⁴ *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав: Критико-систематическое Исследование, Часть I. Основные Вопросы Теории Субъективных Публичных Прав, М., 1913, 16-17.

³⁵ *Comte A.*, *Système de politique positive*, Tome 1, 1890, 361, ციტირებულია ნაშრომიდან: *Дюги Л.*, *Общие Преобразования Гражданского Права со Времени Кодекса Наполеона*, Перевод *Сиверс М. М.*, М., 1919, 15.

³⁶ *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав: Критико-систематическое Исследование, Часть I. Основные Вопросы Теории Субъективных Публичных Прав, М., 1913, 20.

³⁷ *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав: Критико-систематическое Исследование, Часть I. Основные Вопросы Теории Субъективных Публичных Прав, М., 1913, 22-24.

³⁸ *Морандьер Л. Ж.*, *Гражданское Право Франции*, Перевод *Флейшиц Е. А.*, Т. 1, М., 1958, 39-40.

სნისა, საერთოდ უფლების არსებობის გამორიცხვა. ეს ფაქტობრივად პრობლემის გადაწყვეტისგან თავის არიდებას ემსგავსება; მეორე, **პირი ურთიერთობებში მონაწილეობისას იძენს უფლებებს, რომელთა არარსებობაზე საუბარი პირის არარსებობასთან ასოცირდება.** არადა პირი საზოგადოების წევრია, რომელსაც უფლებები უჩნდება სხვებთან ურთიერთობისას, რათა დაიცვას საკუთარი ინტერესები და თავისი უფლების გამოყენებით არ შელახოს სხვისი ინტერესები. ამდენად, უფლების არარსებობაზე მსჯელობა გაუმართლებელია და დაგვაშორებს მთავარ მიზანს – უფლების არსის განსაზღვრას.

2.2. უფლების ძირითადი თავისებურებები

უფლების შესახებ თეორიების ანალიზის გზით შესაძლებელია უფლების ძირითადი ნიშნების გამოყოფა. მათ განეკუთვნება შემდეგი თავისებურებები:

ა) **უფლება სამართლით უნდა იყოს შექმნილი.** უფლებად არ მიიჩნევა უფლებამოსილება, რომელიც აღიარებულია არა სამართლით, არამედ ჩვეულებით ან მორალით;

ბ) **უფლება უნდა ეკუთვნოდეს პირს** (ფიზიკურ და იურიდიულ პირს). სამოქალაქო კოდექსი ცდილობს, თავიდან აიცილოს უფლებების არსებობა სუბიექტების გარეშე;

გ) **უფლება ნების ძალაა.** ის უფლების მფლობელს აძლევს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას, შეასრულოს თავისი ნებით გარკვეული მოქმედება. ამასთან, უფლება იცავს ცალკეულ პირთა თავისუფლებას;

დ) **უფლების მიზანია ადამიანური ინტერესების დაკმაყოფილება.**³⁹

შესაბამისად, უფლება არის საშუალება, რომლითაც პირი იკმაყოფილებს გარკვეულ ინტერესებს. ის თანაარსებობს მოვალეობასთან ერთად. **უფლება მოვალეობის გარეშე ვერ იარსებებს და პირიქით,** რის გამოც მათ შორის კორელაციური კავშირია.⁴⁰ უფლება მოვალეობის გარეშე არაფერს წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ მოვალეობა სძენს მას აზრს. მოვალეობის დახმარებით შეიძლება შესრულდეს მოთხოვნის უფლება. ეს კავშირი აუცილებლობითაა განპირობებული. შესაბამისად, **უფლება, რომელიც არ ემთხვევა არავითარ მოვალეობას, კარგავს იურიდიული ცნების ხასიათს და განხორციელების დროს იქცევა შიშველ ძალად, იძულებად,** რასაც ერთი სუბიექტი მეორის წინააღმდეგ იყენებს. უფლებისა და მოვალეობის ცნებები ერთმანეთისაგან მოწყვეტით ვერ იარსებებს.⁴¹

უფლება-მოვალეობა ყალიბდება არა ცარიელ ადგილას, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობასთან ერთად. **სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ იურიდიული ფაქტის შედეგად, რის შემდგომაც უფლება-მოვალეობა უკავშირდება კონკრეტულ სუბიექტსა და ობიექტს.**⁴² ჩნდება შეკითხვა: შეიძლება უფლება არსებობდეს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის გარეშე?

³⁹ იხ. Brox H., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, Sechste Auflage, Köln-Berlin-München, 1982, 242-243; Brox H., Walker W.-D., Allgemeiner Teil des BGB, 30. Auflage, München, 2006, 318-319; ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-3 გამოცემა, თბ., 2020, 19.

⁴⁰ იხ. სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, მთარგმნელი: გამყრელიძე ო., თბ., 2002, 134-139; კაპანაძე ო., სამოქალაქო უფლების შესახებ თეორიების ისტორიული მიმოხილვა, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, №5, 2016, 76.

⁴¹ იხ. სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, მთარგმნელი: გამყრელიძე ო., თბ., 2002, 110.

⁴² ბიჭია მ., სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 96-97.

როგორც ო. იოფე შენიშნავს, **სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ აღებული უფლება იქცევა არაფრად, „სოციალურ ნულად“**. ამიტომ, რომ უფლებისა და მოვალეობის კვლევა მხოლოდ მაშინაა ნარმატიული, თუ უფლება-მოვალეობა იქნება ნარმოდგენილი სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებად და ამ ურთიერთობის იურიდიულ შინაარსად.⁴³ უფლების ძირითადი თავისებურებაა ის, რომ ქმედების შესრულების შესაძლებლობა აღიარებულია კანონით; უფლებას უნდა დაუპირისპირდეს მოვალეობა. თუ უფლება სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში განიხილება, ვინაიდან **უფლება მოვალეობასთან ერთად არსებობს, ლოგიკურად მოვალეობაც ვერ იქნება სამართლებრივი ურთიერთობის გარეთ.**

3. სამოქალაქო უფლების ცნების მოცულობა

3.1. ტერმინი „სამოქალაქო უფლება“

პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რა მიმართება არსებობს „ობიექტურ უფლებასა“ და „სუბიექტურ უფლებას“ შორის, რადგან ეს ლოგიკურად განსაზღვრავს ტერმინ „სამოქალაქო უფლების“ გამოყენების მიზანშეწონილობას.

უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში სამართალი და უფლება გამოიხატება ერთი ტერმინით – „უფლება“ (Recht, право). ამიტომ „სამართლისა“ და „უფლების“ ერთმანეთისგან გასამიჯნად საჭირო გახდა, უფლებას დამატებოდა ტერმინი „სუბიექტური“ ან „ობიექტური“.⁴⁴ მაგალითად, გერმანელი იურისტები „სამართალს“ გამოხატავენ ტერმინით „ობიექტური უფლება“, ხოლო ვინმეს უფლებას ტერმინით „სუბიექტური უფლება“.⁴⁵

ამდენად, „ობიექტური უფლება“ მოიცავს სამართლის ნორმებს, რომლებიც შეიძლება ადგენდეს ერთი პირის მიერ სხვისი სიკეთის დაცვის მოთხოვნას. ეს მოთხოვნა განმტკიცებულია კერძო პირთა უფლებაში.⁴⁶ რაც შეეხება „სუბიექტურ უფლებას“, მასში მოიაზრება ამ ნორმათა ინდივიდუალიზაცია. ესაა მოთხოვნა, უფლებამოსილება, რომელიც გამოხატავს რაიმეს შესრულების შესაძლებლობას. ამდენად, სამართალსა და უფლებას შორის ასეთი კავშირია: **უფლების არსებობა დამოკიდებულია სამართლის შინაარსსა და ხასიათზე, სამართლის ნორმები ხორციელდება იმიტომ, რომ მათ საფუძველზე სუბიექტებს ენიჭებათ გარკვეული უფლებები.**⁴⁷

ქართულ ენაში არ არსებობს „სუბიექტური უფლებისა“ და „ობიექტური უფლების“ ცნებების გადმოტანის აუცილებლობა, ვინაიდან „ობიექტური უფლება“ გადმოიცემა ტერმინით „სამართალი“, ხოლო „სუბიექტური უფლება“ – ტერმინით „უფლება“.⁴⁸ ამასთან, ვინაიდან უფ-

⁴³ იხ. *Иоффе О. С., Шаргородский М. Д.*, Вопросы Теории Права, М., 1961, 227, 229.

⁴⁴ *Mautner T.*, How Rights Became „Subjective“, in: *RationJuris*, Vol. 26, No.1, 2013, 114.

⁴⁵ *Sharon Byrd B., Hruschka J.*, Kant's Doctrine of Right: A Commentary, Cambridge, 2010, 28; *ბიჭია მ.*, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და შინაარსი, სადოქტორო სასემინარო ნაშრომი, თბ., 2009, 21-22.

⁴⁶ *Fikentscher W., Heinemann A.*, Schuldrecht, 10. Auflage, Berlin, 2006, 19.

⁴⁷ სუბიექტური და ობიექტური უფლების შესახებ იხ. *Иоффе О. С.*, Советское Гражданское Право, Общая Часть. Право Субственности. Общее Учение об Обязательствах, Л., 1958, 70-71; *Bydlinski P.* (Hrsg.), Bürgerliches Recht, Springers Kurzlehrbücher der Rechtswissenschaft, Bürgerliches Recht, Band I, Allgemeiner Teil, dritte, überarbeitete Auflage, WienNewYork, 2005, 13, 62.

⁴⁸ იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 98; *Белов В. А.*, Гражданское Право, Т. I, Общая Часть, Введение в Гражданское Право, 3-е изд., Москва, 2014, 23-27. სხვა მოსაზრებაზე იხ. *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 76-80.

ლება მიეკუთვნება ინდივიდებს, ამ თვალსაზრისით ის სუბიექტური გამოდის.⁴⁹ უფლება ისედაც ეკუთვნის სუბიექტებს და არაა მის წინ დამატებით ტერმინ „სუბიექტურის“ გამოყენების საჭიროება.⁵⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გამოყენებულია ტერმინი „სამოქალაქო უფლება“. მაგალითად, სსკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, **სამოქალაქო უფლების განხორციელება არაა დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე**, რომლებიც გათვალისწინებულია კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით. კანონმდებელი ადგენს ცნებათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ ნორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსში ასახული ცნებები და ტერმინები ადეკვატურად უნდა იყოს გამოყენებული სხვა სამართლებრივ აქტებში (სსკ-ის 1519-ე მუხლი). შესაბამისად, სასურველია, გამოყენებული იყოს ტერმინი „სამოქალაქო უფლება“.

3.2. სამოქალაქო უფლების არსი

სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი მოიცავს **სუბიექტთა უფლებასა (მოქმედების სამართლებრივი შესაძლებლობა) და მოვალეობას (სამართლით დადგენილი მოქმედების აუცილებლობა)**.⁵¹ გერმანულ ლიტერატურაშიც ხაზგასმულია, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობა შეიცავს უფლებას და მის შესაბამის მოვალეობას.⁵² უფლება გვხვდება მოთხოვნის ფორმით და მოიაზრებს თავისუფლებას ან შესაძლებლობას, რომელიც უფლებამოსილმა პირმა შეიძლება გამოიყენოს სასიკეთოდ, საუარესოდ ან საერთოდ არ გამოიყენოს. უფლებები ინდივიდს აძლევს ძალაუფლებას, მოითხოვოს საკუთარი ინტერესების დაცვა.⁵³ პირს უფლებები ენიჭება თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.⁵⁴ აქ მართალია, იგრძნობა ინტერესთა თეორიის გავლენა, თუმცა ის მნიშვნელოვანია, რადგან უფლებამოსილი პირის აქტიურ როლს გამოკვეთს.

უფლება არის კანონით უზრუნველყოფილი **შესაძლო მოქმედების საშუალება, მას-შტაბი, ფარგალი**. გარდა ამისა, უფლებაში უნდა იგულისხმებოდეს მოვალისადმი მოთხოვნის წარდგენა და რეგულაციური ურთიერთობის ფარგლებში ამ მოთხოვნის ნებაყოფლობითი შესრულება. ამასთან, ნებადართულ მოქმედებათა შესრულების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია მოვალის მიერ მოქმედების შესრულებით.⁵⁵ ეს ბუნებრივიცაა, რადგან უფლებას შინაარსობრივად უპირისპირდება შემხვედრი მოვალეობა. თუმცა უფლება და მოვალეობა ემსახურება ერთი მიზნის დაკმაყოფილებას, რომელიც კანონით უფლებამოსილი პირის ინტერესებითაა ცნობილი.⁵⁶

⁴⁹ Mautner T., How Rights Became „Subjective“, In: Ration Juris, Vol. 26, No.1, 2013, 112.

⁵⁰ Fikentscher W., Heinemann A., Schuldrecht, 10. Auflage, Berlin, 2006, 19.

⁵¹ Алексеев С., Общая Теория Права. т. II, Москва, 1982, 114.

⁵² იხ. Brox H., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, Sechste Auflage, Köln-Berlin-München, 1982, 240; Brox H., Walker W.-D., Allgemeiner Teil des BGB, 30. Auflage, München, 2006, 315.

⁵³ Menke C., Subjektive Rechte: Zur Paradoxie der Form, Zeitschrift für Rechtssoziologie, 29, Heft 1, 2008, 90.

⁵⁴ იხ. Bydlinski P., Grundzüge des Privatrechts für Ausbildung und Praxis, 7. Auflage, Wien, 2007, 14.

⁵⁵ Иоффе О. С., Правоотношение по Советскому Гражданскому Праву, Л., 1949, 49, 53; Братусь С. Н., Субъекты Гражданского Права, М., 1950, 11.

⁵⁶ Иоффе О. С., Шаргородский М. Д., Вопросы Теории Права, М., 1961, 223.

ამდენად, უფლება შეიძლება განიმარტოს, როგორც კანონითა და მოვალის მოქმედებით უზრუნველყოფილი კონკრეტული პირის მოქმედების შესაძლებლობა.⁵⁷

გერმანულ სამართალში კერძოსამართლებრივი ურთიერთობის არსებით ელემენტად განიხილება კერძო უფლება. მასში მოიაზრება სუბიექტისთვის კერძო სამართლით მონიჭებული ძალაუფლება,⁵⁸ ან უფლებამოსილება.⁵⁹ სამოქალაქო უფლება სამოქალაქო კანონმდებლობით სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილისათვის მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლებაა (შესაძლებლობა), დაიცვას საკუთარი ინტერესები, მათ შორის სასამართლოს გზით. უშუალოდ სამოქალაქო უფლებები განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსსა და სხვა კანონებში, ასევე, კანონქვემდებარე აქტებში, ხელშეკრულებებსა და იურიდიული პირების წესდებებში.⁶⁰

3.3. კერძო ავტონომიის როლი სამოქალაქო უფლების ცნების მოცულობის განსაზღვრაში

კერძო ავტონომია მოიცავს ადამიანთა მიერ ურთიერთობების თვითრეგულირებას და კრძალავს სახელმწიფოს ან მესამე მხარის ჩარევას. ამ შემთხვევაში ურთიერთობა რეგულირდება პირთა თავისუფალი ნების საფუძველზე, რომელიც სამართალმა აღიარა იურიდიულად სავალდებულოდ. შესაბამისად, **კერძო ავტონომიის უძირითადესი ორი ნიშანია: (ა) პირთა თავისუფალი ნება და (ბ) სამართლის მიერ ასეთი ნების სავალდებულოდ აღიარება.** იურიდიული შედეგები იმიტომ წარმოიშობა, რომ შექმნილი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართალი ანიჭებს მას ასეთ ეფექტს. შესაბამისად, კერძო ავტონომიის შედეგად ნების გამოვლენას აქვს იურიდიული ძალა მაშინ, როცა სამართალი ადამიანის ავტონომიურ ნებას აღიარებს.⁶¹

სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „რაც კანონით აკრძალული არაა, ყველაფერი დაშვებულია“. ე.ი. თავისუფლება სამოქალაქო სამართალში იზღუდება კანონით (სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, უფლების ბოროტად გამოყენებისგან სხვათა თავისუფლებას იცავს და გარკვეულ ფარგლებს უდგენს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები⁶², რომლებსაც არ უნდა გასცდეს სუბიექტის მოქმედება. მაშასადამე, სამართალი ადგენს კერძო ავტონომიის ფარგლებსაც. შესაბამისად, **კერძო ავტონომიის შედეგად მოქმედებას შეიძლება იურიდიული ეფექტი ჰქონდეს მხოლოდ მანამ, ვიდრე კანონმდებელი მას თავისუფლებას ანიჭებს.** ეს დასაშვებს ხდის კანონმდებლის მიერ კერძო ავტონომიური მოქმედების შეზღუდვასაც.⁶³ სამოქალაქო კანონების მიზანია, საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლება, თუ ამ თავისუფლების რეალიზება არ ლახავს მესამე პირების უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი).

⁵⁷ *Братусь С. Н.*, Субъекты Гражданского Права, М., 1950, 13.

⁵⁸ *Brox H., Walker W.-D.*, Allgemeiner Teil des BGB, 30. Auflage, München, 2006, 315-316.

⁵⁹ *Bork R.*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 2. Auflage, Tübingen, 2006, 116.

⁶⁰ იხ. *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 98.

⁶¹ *Artunç Ç. E.*, Vertragsfreiheit als Erscheinungsform der Privatautonomie im deutschen Zivilrecht, Annales de la Faculté de Droit d'Istanbul, XL, N57, Yıl 2008, 296-297.

⁶² იხ. *ჯორბენაძე ს.*, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017, 85.

⁶³ *Artunç Ç. E.*, Vertragsfreiheit als Erscheinungsform der Privatautonomie im deutschen Zivilrecht, Annales de la Faculté de Droit d'Istanbul, XL, N57, Yıl 2008, 296-298.

კერძო ავტონომიის ფარგლებშიც ნებისმიერ ადამიანს აქვს თავისუფლება, სხვებთან კერძოსამართლებრივი ურთიერთობები მოაწესრიგოს ხელშეკრულებების გზით. ეს თავისუფლება მოიცავს როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ხელშეკრულების შინაარსისა და ფორმის თავისუფლებას, ისე სახელშეკრულებო ურთიერთობების დასრულების თავისუფლებას.⁶⁴ **სამოქალაქო სამართალში დისპოზიციურობა უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ კანონიდან.** კანონის გვერდის ავლით არც ერთ სუბიექტს არ შეუძლია გახდეს დისპოზიციურობის მატარებელი და, შესაბამისად, შეიძინოს, განახორციელოს ან განაგოს საკუთარი უფლებები.⁶⁵

მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის აშკარა გამოვლინებაა კერძო სამართლის სუბიექტების უფლება, გააფორმონ **ისეთი ხელშეკრულება, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.** მაგალითად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობაა ერთი მხარის მიერ ინვესტირების განხორციელებითა და მეორე მხარის მიერ გარკვეული სამუშაოების შესრულებით მოგების მიღება. თუ მხარეები შეთანხმდნენ ამ გზით მათთვის სასურველი შედეგის მიღებაზე, წარმოიშობა ვალდებულება, რომელიც სამოქალაქო კოდექსის სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული არაა, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს. ამ შემთხვევაში ეს ურთიერთობა უნდა დარეგულირდეს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებებით.⁶⁶

4. დასკვნა

როგორც კვლევამ დაადასტურა, თითოეულ თეორიას აქვს ხარვეზები. **ნების თეორია ნებას მიიჩნევს უფლების ცენტრალურ და აუცილებელ კომპონენტად,** თუმცა უფლება ნებაამდე ვერ დაიყვანება. ამასთან, **ნება არის ინდივიდუალურ-ფსიქიკური აქტი, შესაბამისად, რეალური მოვლენა.** გარდა ამისა, ნების თეორიაში არაა გამოკვეთილი, რომ უფლება მოვალეობასთან ერთად უნდა განიხილებოდეს, რაც განსაზღვრავს უფლების იდეალურ (იურიდიულ) ბუნებას. ამდენად, **ნების თეორია უფლებას მიიჩნევს არაიურიდიულ (ფაქტობრივ) მოვლენად,** რასაც მსჯელობა გაჰყავს სამართლის მეცნიერების მიღმა.

ინტერესთა თეორიის მიხედვით, ინტერესი ფსიქოლოგიურ-რეალური მოვლენაა, რადგან **უფლებაში უმთავრესია ინტერესი, რაც სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს აერთიანებს.** არადა უფლების ფსიქოლოგიური განცდა რეალურ სფეროს განეკუთვნება, უფლება კი – იდეალურს. შესაბამისად, **ინტერესთა თეორიაში აღრეულია ჯერარსისა და არსის მოვლენები.**

შერეული თეორია იყო მცდელობა, **ინტერესთა და ნების თეორიის შეჯერებით ახსნას უფლების არსი, თუმცა უშედეგოდ.** მოცემულ შემთხვევაში არაა გამიჯნული ნება და ინტერესი, ასევე, არაა უფლების იურიდიული ხასიათი გაანალიზებული. შერეული თეორია იმეორებს ნებისა და ინტერესთა თეორიების ხარვეზებსაც. **უარმყოფელი თეორიები** ერთი უკი-

⁶⁴ Huemer D., Lenz W., Kerschner F., Lux D., Schlager J., Szep C., Wittmann E., Schlager S., Trausner M., Handbuch Vertragsgestaltung: Zivilrecht, Gesellschaft, Steuerrecht, Für Praxis und Studium, herausgegeben von Kerschner F., 2013, 29.

⁶⁵ იხ. ბეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995, 102.

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის №ას-1300-1320-2011 განჩინება.

დურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადადის, უფლების არსებობას უარყოფს, მაგრამ ამით შორდება ძირითად ამოცანას – უფლების არსის ახსნას.

კვლევებიდან ჩანს, რომ უფლება არაა ჩვეულებით ან მორალით დადგენილი უფლებამოსილება; ის უნდა იყოს სამართლით აღიარებული, რათა უფლებად ჩაითვალოს. ამასთან, უფლება უნდა ჰქონდეს პირს და მოიცავს ნების ძალაუფლებას, რომელსაც პირი იყენებს საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებად. უფლების შესრულება უზრუნველყოფილია ვალდებული პირის მოვალეობით, რადგან უფლება არსებობს მხოლოდ მოვალეობასთან ერთად, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული კატეგორიებია.

დადგინდა, რომ მიზანშეწონილია ტერმინ „სამოქალაქო უფლების“ გამოყენება, ნაცვლად „სუბიექტური სამოქალაქო უფლებისა“. ეს გამომდინარეობს კანონით აღიარებული ცნებათა ერთიანობის უზრუნველყოფის პრინციპიდანაც. ამასთან, გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო უფლება არის სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტისთვის სამოქალაქო კანონმდებლობით მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება, მოითხოვს გარკვეული ქმედება, ქმედების შესრულებისგან თავშეკავება და სასამართლო წესით დაცვა.⁶⁷ ეს ძალაუფლება ეფუძნება როგორც სამოქალაქო კანონს, ისე კანონის შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებას.

ამდენად, საჯარო უფლებასთან შედარებით, სამოქალაქო უფლების ცნების მოცულობა გაცილებით ფართოა. საქმე ისაა, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს ნებისმიერი აუკრძალავი საქმიანობა. თუმცა პირის მოქმედების თავისუფლება იზღუდება კანონითა და მესამე პირის უფლებებით, რადგან სუბიექტს შეუძლია თავისუფლად მოქმედება მანამ, ვიდრე არ ილახება მესამე პირთა ინტერესები.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997.
2. ამირანაშვილი გ., სამოქალაქო უფლების ცნება და სტრუქტურა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, 2015, 140.
3. ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, მე-3 გამოცემა, თბ., 2020, 19.
4. ბიჭია მ., სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მეთოდოლოგიური საკითხები, „სამართლის ჟურნალი“, №1-2, 2010, 96-97.
5. ბიჭია მ., სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის ცნება და შინაარსი, სადოქტორო სასემინარო ნაშრომი, თბ., 2009, 21-22.
6. გამყრელიძე ო., იროდიონ სურგულაძე და მისი წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, თბ., 2002, 20-21, 25-26.
7. გოკიელი ფ., უფლება, ჟურნალი „სამართალი“, №8-9, 1992, 65, 69, 71.
8. კაპანაძე ო., სამოქალაქო უფლების შესახებ თეორიების ისტორიული მიმოხილვა, ჟურნ. „ახალგაზრდა ადვოკატები“, №5, 2016, 76.
9. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., 2009, 76-80.
10. ვაჩიშვილი ალ., სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2010, 181, 183.
11. ნინიძე თ., ცოცხალი ხატი ღირსებისა, ჟურნ. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №3, 1987, 64, 69.
12. სურგულაძე ი., ხელისუფლება და სამართალი, მთარგმნელი: გამყრელიძე ო., თბ., 2002, 94, 96, 100-102, 110, 113, 134-139.

⁶⁷ იხ. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 98.

13. უეჯსი რ., სამართლის ფილოსოფია: ძალიან მოკლე შესავალი, თბ., 2012, 153-154.
14. ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995, 102.
15. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2017, 85.
16. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2011, 98.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 მარტის №ას-1300-1320-2011 განჩინება.
18. Artunç Ç. E., Vertragsfreiheit als Erscheinungsform der Privatautonomie im deutschen Zivilrecht, Annales de la Faculté de Droit d'Istanbul, XL, N57, Yıl 2008, 296-298.
19. Bork R., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 2. Auflage, Tübingen, 2006, 116.
20. Brox H., Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, Sechste Auflage, München, 1982, 242-243.
21. Brox H., Walker, W.-D., Allgemeiner Teil des BGB, 30. Auflage, München, 2006, 318-319.
22. Bydlinski P., Grundzüge des Privatrechts für Ausbildung und Praxis, 7. Auflage, Wien, 2007, 14.
23. Bydlinski P. (Hrsg.), Bürgerliches Recht, Springers Kurzlehrbuecher der Rechtswissenschaft, Buergerliches Recht, Band I, Allgemeiner Teil, dritte Auflage, WienNewYork, 2005, 13, 62.
24. Huemer D., Lenz W., Kerschner F., Lux D., Schlager J., Szep C., Wittmann E., Schlager S., Trausner M., Handbuch Vertragsgestaltung: Zivilrecht, Gesellschaft, Steuerrecht, Für Praxis und Studium, herausgegeben von Kerschner F., 2013, 29.
25. Jhering R. von, Geist deutschen romischen Rechts, III 1, 1. Aufl., 1865, §§ 60, 61.
26. Jhering, R. von, Geist des römischen Rechts auf den verschiedenen Stufen seiner Entwicklung, 3. Auflage, Leipzig, 3, Teil, 1, Abt., 1877, § 60, 327.
27. Fikentscher W., Heinemann A., Schuldrecht, 10. Auflage, Berlin, 2006, 19.
28. Mautner T., How Rights Became "Subjective", In: Ration Juris, Vol. 26, No1, 2013, 112.
29. Menke C., Subjektive Rechte: Zur Paradoxie der Form, Zeitschrift für Rechtssoziologie, 29, Heft 1, 2008, 90.
30. Reiser L., Der Stand der Lehre vom subjektiven Recht in Deutschen Zivilrecht, Juristen Zeitung, 16. Jahrg. Nr. 15/16, 1961, 465.
31. Savigny F. C. von, System des heutigen römischen Rechts, Bn. 1, 1840, § 4, 7.
32. Schorder R., (unter Mitarbeit von Bar fred G. anspeter Hafermark, Dostal C., Bedau M., Moller Ulr., Revermann M.), Einfuhrung in die Rechtsgeschichte, Quellensammlung zur vorlesung mit erlauterungen, 14 (neu barbeitete) Aufl., 2005, 146.
33. Sharon Byrd B., Hruschka J., Kant's Doctrine of Right: A Commentary, Cambridge, 2010, 28.
34. Windscheid B., Pandektenrecht, 3 Aufl., 1873, §37.
35. Windscheid B., Lehrbuch des pandektenrechts, 7 Aufl., I Band Frankfurt a.M., 1891, §37, S. 87 f.
36. Windscheid-Kipp B., Pandektenrecht, 9. Aufl., 1906, § 37.
37. Duguit L., L'État, le droit objectif et la loi positive, Paris, 1901, 147, ციტირებულია ნაშრომიდან: Рож-дественский А., Теория субъективных публичных прав: Критико-систематическое Исследование, Часть I. Основные Вопросы Теории Субъективных Публичных Прав, М., 1913, 16.
38. Comte A., Système de politique positive, Tome 1, 1890, 361, ციტირებულია ნაშრომიდან: Дюги, Л., Общие Преобразования Гражданского Права со Времени Кодекса Наполеона, Перевод Сиверс М. М., М., 1919, 15.
39. Алексеев С. С., Общая теория права, В. 2 т., Москва, 1982, 114-116.
40. Белов В. А., Гражданское Право, Т. I, Обшая часть, Введение в Гражданское Право, 3-е изд., Москва, 2014, 23-27.
41. Братусь С. Н., Субъекты Гражданского Права, М., 1950, 11, 13.
42. Дюги Л., Общие Преобразования Гражданского Права со Времени Кодекса Наполеона, Перевод Сиверс М. М., М., 1919, 15-17.
43. Иоффе О. С., Шаргородский М. Д., Вопросы Теории Права, М., 1961, 227, 229.

44. *Иоффе О. С.*, Правоотношение по Советскому Гражданскому Праву, Л., 1949, 49, 53.
45. *Иоффе О. С.*, Советское Гражданское Право, Общая Часть. Право Субственности. Общее Учение об Обязательствах, Л., 1958, 70-71.
46. *Магазинер Я.М.*, Избранные Труды по Общей Теории Права, СПб, 2006, 153, 155-156.
47. *Морандьер Л. Ж.*, Гражданское Право Франции, Перевод *Флейшиц Е. А.*, Т. 1, М., 1958, 39-40.
48. *Крашенинников Е.*, Охраняемый Законом Интерес и Средства его Защиты в Материалы Научной Конференции- Вопросы Теории Охранительных Правоотношении, Ярославль, 1991, 12.
49. *Рождественский А.*, Основы Общей Теории Права: Курс лекций, М., 1912, 121.
50. *Рождественский А.*, Теория Субъективных Публичных Прав: Критико-систематическое исследование, Часть I. Основные Вопросы Теории Субъективных Публичных Прав, М., 1913, 16-17, 20, 22-24.